



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რამდენად განსაზღვრავს მიართველობის მახასიათიაზე
საგარეო პოლიტიკას: რუსეთ-ჩალარუსის ინტეგრაციის
მაგალითი

ირაკლი ეფალაშვილი

134

ეპსკონტის კონკრეტული





საქართველოს სტრატეგიულის და საერთაშორისო ურთიერთობათა კენცენტრი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ირაკლი ეცალაშვილი

რამდენად განსაზღვრავს მხართველობის მასაძიათებლადი
საგარეო პოლიტიკას: რუსეთ-ჩალარუსის
ინტეგრაციის მაგალითი

134

2020



პუბლიკაცია დაბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების
საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში
გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და
შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და
საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის
გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი,
მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული
მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის
ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

შესავალი

პოლიპერვისტული თეორია მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რადგან იგი განიხილავს დემოკრატიულ და არადემოკრატიულ ლიდერებს შორის სხვაობას საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. მეტიც, ეს თეორია განასხვავებს არადემოკრატიული რეჟიმების ფორმებს და მათი საგარეო-პოლიტიკური ქცევის ხასიათს (Kinne 2005). ამ მხრივ ბელარუსი ძალიან საინტერესო და მრავლისმომცემი შემთხვევაა პოლიპერვისტული თეორიისთვის, განსაკუთრებით კი, მისი იმ ნაწილისთვის, რომელიც ეხება გადაწყვეტილების მიღებას პერსონალისტურ ავტოკრატიებში, რადგან ლუკაშენკოს ბელარუსში ლიდერის სწრაფვა, შეინარჩუნოს ძალაუფლება და პირადი პრეფერენციები, პირდაპირ აისახება საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

ბოლოდროინდელი მოვლენები გვიჩვენებს, რომ ლუკაშენკო უარს ამბობს „უფროს ძმასთან“ (როგორც იგი ხშირად რუსეთს უწოდებს) ინტეგრაციის საკუთარ იდეაზე, უფრო სწორად კი – ინტეგრაციის პოლიტიკურ პუნქტებზე, რაც ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებას გულისხმობს. თავის მხრივ, რუსეთი უფრო მომთხოვნი ხდება იმ საკითხებში, რომლებიც სამოკავშირეო სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ეხება, მაგრამ მისი მოთხოვნები ლუკაშენკოს წითელ ხაზებს კვეთს და შედეგად სიტუაციის ღრმა კრიზისად გარდაქმნა მოაქვს.

ამ ფონზე საინტერესოა თვალი გადავავლოთ რუსეთთან ღრმა ინტეგრაციისა და სამოკავშირეო სახელმწიფოში ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნის მიმართ ლუკაშენკოს დამოკიდებულების ცვლილებას 90-იანი წლებიდან დღემდე. ეს საინტერესოა სამი მიზეზის გამო: პირველი – იგი პოლიპერვისტული თეორიის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების ორეტაპიანი პროცესის კარგი მაგალითია; მეორე – ასევე კარგი მაგალითია არადემოკრატიულ გარემოში (ამ შემთხვევაში – პერსონალისტურ ავტოკრატია) საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა; მესამე – ლუკაშენკოს შემთხვევას საკუთარი უნიკალური მახასიათებელები აქვს, რომლებიც მას განასხვავებს არადემოკრატიულ რეჟიმებში გადაწყვეტილების მიღების სხვა მაგალითებისაგან.

წინამდებარე კვლევაში შევეცდებით დავადგინოთ ლუკაშენკოს, როგორც პერსონალისტი ავტოკრატის მოქმედების ვარიან-

ტები, ალტერნატივები და, ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესები 90-იან წლებში (როდესაც იგი რუსეთთან უფრო ღრმა ინტეგრაციის და ძლიერი ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნის მთავარი იდეოლოგი იყო) და დღეს (როდესაც რუსეთთან რაიმე ფორმით ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შექმნა მის-თვის წითელ ხაზად იქცა). ლუკაშენკოს მაგალითზე დაყრდნობით ასევე შევეცდებით პასუხი გავცეთ მთავარ კითხვას – რამდენად განსაზღვრავს არადემოკრატიული რეჟიმი, მისი მახასიათებლები და სპეციფიკა საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს?

მინტზისა და გევას (1997) მიხედვით, პოლიპერვისტუ-ლი თეორია გადაწყვეტილების მიღების ორეტაპიან პროცესს გვთავაზობს. პირველ ეტაპზე გადაწყვეტილების მიმღები პირები გამორიცხავენ გარკვეულ ვარიანტებს ერთ (ან რამდენიმე) გან-საკუთრებით მნიშვნელოვან ასპექტზე დაყრდნობით, რომელიც ჩვეულებრივ, და ჩვენს მაგალითშიც, პოლიტიკური ასპექტია. ეს კი ნიშნავს, რომ თუ ვარიანტი საფრთხეს წარმოადგენს ლიდერის პოპულარობისთვის, ლეგიტიმურობისთვის, რეჟიმისა და/ან პოლი-ტიკური ძალაუფლებისთვის, იგი გამოირიცხება პირველივე ეტაპზე. გადაწყვეტილების მიღების მეორე ეტაპზე ვარიანტები განიხილება სხვა ასპექტებშიც (ეკონომიკური, სტრატეგიული, სამხედრო) და დარჩენილი ვარიანტებიდან შეირჩევა ერთი, რომელიც ამცირებს რისკებს და ზრდის მოგებას.

პოლიპერვისტული თეორიის განვითარების მიუხედავად, მცირე ყურადღება ეთმობა ამ თეორიის იმ ნაწილს, რომელიც ეხება არადემოკრატიული ლიდერების საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ამ თემაზე ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ შემ-დეგი ავტორები: სათჰასივამი (2003), ჯეიმსი და უენგი (2005) და კინე (2005). მათ შორის ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კინეს (2005) მიგნებები (და მაგალითები), რომლის თანახმადაც, ავტოკრატიული ლიდერებისთვის დამახასიათებელია შეზღუდვების განმაპირობებელი შიდა ფაქტორები – ერთი პარტია, სამხედ-რო ჯგუფები ან, როგორც ლუკაშენკოს მაგალითში, ლიდერის პიროვნება.

ინტეგრაციული პროცესები 90-იან წლებში

„ბელარუსის სახელმწიფოებრიობა ხურდა არაა, მაგრამ არც ხატია“, – ეს განცხადება იყო ლუკაშენკოს პირველი საარჩევნო

კამპანიის ნაწილი¹. მისი პროგრამა ასევე გვთავაზობდა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების გაერთიანებასა და ამ პროცესების განვითარებას². 1994 წელს, დამოუკიდებელი ბელარუსის პირველ პრეზიდენტად არჩევიდან მალევე, ლუკაშენკომ ახლო ურთიერთობები დაამყარა რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინთან და საკუთარი დაპირებების შესრულებას შეუდგა. ლუკაშენკო, ელცინთან ერთად, სამოკავშირეო სახელმწიფოს მთავარი არქიტექტორი იყო. პირველი ინტეგრაციული ნაბიჯები იყო 1995 წელს საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება, შემდეგ კი – რუსეთისა და ბელარუსის თანამეგობრობის შექმნა 1996 წელს, რომელიც სამოკავშირეო სახელმწიფოს (1999 წ.) წინამორბედი და საფუძველი გახდა. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ინტეგრაციული პროცესების დროს ლუკაშენკო უფრო აქტიური იყო, ვიდრე მისი რუსი კოლეგა. კონკრეტულად კი, სამოკავშირეო სახელმწიფოს ფორმის შესახებ მოლაპარაკებების დროს ბელარუსის მხარე მოითხოვდა ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების – პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების (კავშირის უზენაესი საბჭო) – ჩამოყალიბებას. ეს კი პრაქტიკულად სრულიად ახალი სახელმწიფოს შექმნას ნიშნავდა. ელცინი, თავის მხრივ, მზად არ იყო ასეთი რადიკალური გადაწყვეტილებისთვის და ითხოვდა, რომ სამოკავშირეო სახელმწიფოს ქარტიის ხელმოწერა „ქვეყნის მასშტაბით მისი დებულებების განხილვებამდე“ გადაედოთ³.

ეს საინტერესო შემთხვევა საგარეო პოლიტიკის პოლი-ჰერვისტული ანალიზისთვის. რატომ გადაწყვიტა ლუკაშენკომ მოეთხოვა ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბება რუსეთთან, რომელიც გაცილებით ძლიერი იყო ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით? შესაბამისად, სამოკავშირეო სახელმწიფოს დებულებების მიუხედავად, რომლებიც ადგენდნენ წევრი-ქვეყნების თანასწორობას, მაინც არ იქნებოდა მოულოდნელი, რომ პატარა ბელარუსი „უფროს ძმას“ გადაეყლაპა. იმ ვარიანტსაც თუ დავუშვებთ, რომელშიც ორივე სახელმწიფო თანასწორობის პრინციპს დაიცავდა, ამ შემთხვევაშიც ბელარუსს (რომლის მოსახლეობაც დაახლოებით 10-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე რუსეთისა) საერთო პარლამენტში გაცილებით ნაკლები წარმომადგენლობა ეყოლებოდა. ისე ჩანს, თითქოს ლუკაშენკოს გადაწყვეტილება პოლიჰერვისტული თეორიის პირველ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღების პრინციპებს არ იზიარებს, რადგან ეს საფრთხეს უქმნიდა მის პოლიტიკურ ძალაუფლებასა და რეჟიმს (Brule 2008).

თუმცა, ამ გადაწყვეტილებას სხვა მხრივ უნდა შევხედოთ. 90-იან წლებში ბელარუსებისა და რუსების უმრავლესობას ჯერ კიდევ ჰქონდა საბჭოთა კავშირის ნოსტალგია და სუსტი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ფონზე რუსეთისა და ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფო საბჭოთა კავშირის რაღაც ფორმით აღდგენის შანსი იყო. ასევე გასათვალისწინებელია ელცინის უკიდურესად არაპოპულარობა – 1999 წლის 8 დეკემბერს (მის გადადგომამდე 23 დღით ადრე) ჩატარებული გამოკითხვა აჩვენებს, რომ მოსახლეობის 89% მას არ ენდობოდა⁴. მეტიც, ელცინის იმიჯი მჭიდროდ იყო დაკავშირებული პრივატიზაციის ტურბულენტურ პროცესებთან, 90-იანების ეკონომიკურ სირთულეებთან, კორუფციასა და ბელოვეჟის შეთანხმების ხელმოწერასთან, რომლითაც დასრულდა საბჭოთა კავშირის არსებობა. მეორე მხრივ, ლუკაშენკო პრეზიდენტად არჩევამდე და მერეც ამბობდა, რომ ბელარუსის პარლამენტში იგი ერთადერთი იყო, ვინც ბელოვეჟის შეთანხმების წინააღმდეგ მისცა ხმა. სწორედ ეს და მთლიანობაში მისი პროსაბჭოური და ანტიკორუფციული რიტორიკა განასხვავებდა მას ელცინისგან, რომლის სახელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ასეთ არაპოპულარულ გადაწყვეტილებებთან.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიპერვისტული თეორიის მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების პირველ ეტაპზე ლუკაშენკო არც საკუთარი პოლიტიკური მომავლისა და არც რეჟიმისთვის საფრთხედ არ განიხილავდა გვიანი 90-იანი წლების რუსეთთან ინტეგრაციას (თუნდაც პოლიტიკურს), რადგან მას ასაკში შესული და ძალიან არაპოპულარული ელცინი მართავდა. მეტიც, რუსეთთან უფრო ახლო ინტეგრაციაზე უარის თქმას მოსახლეობა ერთ-ერთი უმთავრესი წინასაარჩევნო დაპირების დარღვევად აღიქვამდა. ეს ძალიან არაპოპულარული გადაწყვეტილება იქნებოდა და პირველი ვადით არჩეული ლუკაშენკოს პოპულარობას მნიშვნელოვნად დააზიანებდა. იგი ამ დროისთვის უკვე ამჟღავნებდა არადემოკრატიულ ტენდენციებს, მაგრამ ჯერ ვერ ახერხებდა მთელი ძალაუფლების საკუთარ ხელში მოქცევას და საპარლამენტო ოპოზიციისგან წინააღმდევობასაც აწყდებოდა. მისი პიროვნული მახასიათებლები და საბჭოთა კავშირის ნოსტალგიის მქონე უმაღლესი რანგის პოლიტიკოსის იმიჯი, რომელიც ჯერ კიდევ იყენებდა „მეგობრობისა და ძმობის“ საბჭოურ რიტორიკას, განასხვავებდა მას

სხვა პოსტსაბჭოთა ლიდერებისგან. ამიტომ ინტეგრაციულ პროცე-
სებზე უარის თქმის ვარიანტი პირველივე ეტაპზე გამოირიცხა. იგი
გადავიდა გადაწყვეტილების მიღების მეორე ეტაპზე, როდესაც ლი-
დერები ირჩევენ დარჩენილი ვარიანტებიდან მოგების მაქსიმალიზე-
ბას ან ლექსიკოგრაფიულ პრინციპებზე (როდესაც განისაზღვრება
განზომილება, რომელიც სხვებზე მნიშვნელოვანია) დაყრდნობით
ითვალისწინებენ სხვა განზომილებებსაც, რომლებიც მოცავს ეკო-
ნომიკურ, სამხედრო და დიპლომატიურ სფეროებს (James, Zhang
2005). ამ ეტაპზე ლუკაშენკომ მოგების მაქსიმალიზების პრინციპი
აირჩია და შედეგად „უფროს ძმასთან“ უფრო აქტიური და ღრმა
ინტეგრაციის გადაწყვეტილება მიიღო. მისმა გადაწყვეტილებამ, არ
მოეხდინა ბელარუსის ეკონომიკის საბჭოური მოდელიდან რეფორ-
მირება, დატოვა ქვეყანა ნავთობისა და გაზის დაბალ (შიდარუ-
სულ) ფასებზე მკვეთრად დამოკიდებული, ხოლო მისი ექსპორტი
და იმპორტი მჭიდროდ დააკავშირა რუსეთის ბაზართან. ის, რომ
ღრმა ეკონომიკური ინტეგრაცია რუსეთთან სასიცოცხლოდ მნიშვ-
ნელოვანი იყო ბელარუსის ეკონომიკისთვის, 1995 წლის რეფე-
რენდუმზეც დადასტურდა, როდესაც მოსახლების 83%-მა მხარი
დაუჭირა რუსეთთან ეკონომიკური ინტეგრაციის იდეას⁵.

სამოკავშირეო სახელმწიფოს ამოქმედების გვიანი 2010-იანი წლების მცდელობები

პუტინის პირველ ვადაში რესტრუქტურირების რამდენიმე
მცდელობის მიუხედავად, არც ლუკაშენკოს და არც პუტინს არ
გამოუმუდრავნებია საკმარისი ინტერესი სუსტი სამოკავშირეო სა-
ხელმწიფოს მიმართ. მათ კონცენტრირება სხვა, ეკონომიკური ხასი-
ათის, ინტეგრაციულ პროექტებზე მოახდინეს – ევრაზის ეკონო-
მიკურ კავშირსა (ეეკ) და ევრაზის საბაზო კავშირზე (ესკ). 2018
წლიდან ბელარუსთან რუსეთის რიტორიკა შეიცვალა და აქცენ-
ტი გაკეთდა უფრო ღრმა ინტეგრაციის საჭიროებაზე, რისთვისაც
სამოკავშირეო სახელმწიფო კარგ პლატფორმას წარმოადგენდა.
თუმცა, წლების განმავლობაში ლუკაშენკოს პოზიცია რუსეთ-
თან ინტეგრაციის მიმართ (გარდა ეკონომიკურისა) შეიცვალა.
2018-2019 წლები სავსე იყო დაძაბული მოლაპარაკებებით სამოკა-
ვშირეო სახელმწიფოს აღდგენისა და რეფორმირების საკითხებზე,
ნავთობის ფასებზე ვაჭრობით და შემაშფოთებელი განცხადებე-

ბით ლუკაშენკოსგან, მაგალითად: „ჩვენ წინა ხაზზე ვართ. შემდგომ წლებში თუ არ გავუძლებთ, მოგვიწევს ან სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლა, ან ჩვენზე ფეხებს გაიწმენდენ, ან ბელარუსში ომს გააჩალებენ, როგორც უკრაინაში“.⁶

საბოლოოდ, სულ, ჯამში, 31 „საგზაო რუკა“ შეიმუშავეს და მიუხედავად იმისა, რომ არ გამოქვეყნებულა, ლუკაშენკოს განცხადებით, 31-ე „საგზაო რუკა“ ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა, რაც სრულიად მიუღებელია მისთვის. დანარჩენი „საგზაო რუკები“ კი ძირითადად კონცენტრირებულია ეკონომიკურ, სამხედრო და დიპლომატიურ საკითხებზე.⁷ ნათელია, რომ ლუკაშენკო ცდილობს აქცენტი გადაიტანოს ეკონომიკურ ინტეგრაციაზე და ამავდროულად პირდაპირ აცხადებს, რომ მისთვის მიუღებელია ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნა. მეტიც, მას კარგად ესმის, რომ ამჯერად რუსეთის გეგმები გაცილებით უფრო მკაფრი და შორსმიმავალია, ვიდრე მანამდე იყო.

2020 წლის დასაწყისშივე თავი იჩინეს პრობლემებმა. ბელარუსი და რუსეთი ვერ ახერხებდნენ შეთანხმებას ნავთობის ფასზე, რის გამოც 1 იანვარს რუსეთმა შეწყიტა ნავთობის ექსპორტი ბელარუსში, თუმცა 4 იანვარს განაახლა. თავის მხრივ, 10 იანვარს ბელარუსმა შემოიღო გარემოსდაცვითი გადასახადი თავის ტერიტორიაზე ნავთობის ტრანზიტისთვის⁸. რაც უფრო ძლიერდება რუსეთის მხრიდან ზეწოლა, მით უფრო ნაკლები ადგილი რჩება ლუკაშენკოს მანევრირებისთვის და იგი ცდილობს საერთო თემები დასავლეთის სახელმწიფოებთან იპოვოს. 2016 წლის შემდეგ პირველად, 2019 წელს, იგი ეწვია ევროკავშირს, ხოლო 2018-2019 წლებში ევროკავშირისა და აშშ-ის რამდენიმე უმაღლესი დონის წარმომადგენელი იმყოფებოდა ბელარუსში (აარონ ვეს მოტჩელი, დევიდ ჰეილი, ჯონ ბოლტონი) და ყველა მათგანმა ხაზი გაუსვა ბელარუსის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობას.

რატომ შეიცვალა ლუკაშენკომ აზრი რუსეთთან პოლიტიკურ ინტეგრაციაზე? მართალია, პოლიპერვისტული თეორია გამოდგება ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევაფასოთ, თუ მოქმედების რა ვარიანტები აქვს ლუკაშენკოს: მას შეუძლია მიიღოს ინტერგაციის რუსული ვარიანტი (რომელიც მოიაზრებს ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებას), მას შეუძლია უარი თქვას რუსეთთან ყველა სახის

ინტეგრაციულ მოლაპარაკებებზე და შეუძლია გაწელოს მოლაპარა-
კებები, ხოლო პარალელურად დასავლეთის სახელმწიფოებთან
აწარმოოს მოლაპარაკებები რუსეთის ზენოლის შესამსუბუქებლად.

როგორც უკვე ვახსენეთ, პოლიტერვისტული თეორიის
თანახმად, გადაწყვეტილების მიღების პირველ ეტაპზე ლიდერები
გამორიცხავენ ვარიანტებს, რომლებიც საფრთხეს წარმადგენენ მათი
პოლიტიკური გადარჩენისთვის (Mintz 2005). ლუკაშენკოს სამოქ-
მედო ვარიანტების განხილვისას კვლევა ეყრდნობა მინტზის (2004)
მიერ შემოთავაზებულ პოლიტიკური დანაკარგების 12-პუნქტიან
სიას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პუტინის რუსეთი
განსხვავდება ელცინის რუსეთისგან, იგი ბევრად უფრო კონსოლი-
დირებული და ცენტრალიზებულია, გაცილებით უფრო პოპულარუ-
ლი და ავტოკრატი ლიდერით. რუსული სცენარით ინტეგრაციის
შემთხვევაში, ლუკაშენკო, ხანგრძლივვადიანი პერსონალისტი ავ-
ტოკრატი, რომელიც 1994 წლიდან დამოუკიდებელი ბელარუსის
პრეზიდენტი და გვიანი 90-იანი წლების ძალაუფლების კონსოლი-
დირების პროცესების შემდგომ უმთავრესი გადაწყვეტილების
მიმღებია, იძულებული იქნება ძალაუფლების ნაწილი დაუთმოს
ზესახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს. ეს გადაწყვეტილება მნიშვნე-
ლოვან ზიანს მიაყენებს მისი, როგორც უმაღლესი ლიდერისა და
მთავრი გადაწყვეტილების მიმღების იმიჯსა და სტატუსს. შედეგად,
პუტინის რუსეთთან პოლიტიკურ ინტეგრაციას ლუკაშენკო თავისი
პოლიტიკური ძალაუფლების, რეჟიმისა და (როგორც ლიდერის) ლე-
გიტიმურობისთვის სერიოზულ საფრთხედ აღიქვამს. ასეთი პოლი-
ტიკური დანაკარგები გადაფარავენ აღნიშნული გადაწყვეტილების
ეკონომიკურ სარგებელს, კონკრეტულად კი – ნავთობსა და გაზიე
დაბალ ფასებს, იაფ სესხებსა და რუსული ბაზრის ხელმისაწვდო-
მობას ბელარუსის პროდუქციისთვის – ყველაფერს, რის უზრუნ-
ველყოფასაც ვერ ახერხებენ სხვა ინტეგრაციული ორგანიზაციები
(ეკ, ესკ) და რითაც ბელარუსი სარგებლობდა 2000-იანი წლები-
დან მოყოლებული. მეტიც, რუსეთთან ახლო ინტეგრაციის იდეას
არ გააჩნია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რასაც
ლუკაშენკო არგუმენტად იყენებს. მისი განცხადებით, „ბელარუ-
სების 98% რუსეთთან გაერთიანების წინააღმდეგ მისცემენ ხმას,
ვინაიდან ახალი თაობები გაიზარდნენ, ხოლო ძველებმა გაიაზრეს,
რომ შეგვიძლია ვიცხოვროთ და ვითანამშრომლოთ სრულიად სხვა
ფორმატში“.⁹ რთულია იმის თქმა, თუ საიდან მოაქვს მას ასეთი ცი-
ფრები, თუმცა იგი საგსებით მართალია, როდესაც ძველი და ახალი

თაობებისა და რუსეთთან ინტერაქციის ახალ ხედვაზე საუბრობს. სოციოლოგია გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის 50% მხარს უჭერს ბელარუსის დამოუკიდებლობას, ხოლო 36% პროცენტი – რუსეთთან თანასწორუფლებიანი კავშირის იდეას (იგულისხმება ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების ფორმირება). 2003 წლის მონაცემებთან შედარებით, დამოუკიდებელი ბელარუსის იდეას მზარდი ტენდენცია აქვს (15%-ით), ხოლო რუსეთთან კავშირის იდეას – კლებადი (13%-ით)¹⁰.

როგორც ვხედავთ, რუსეთთან ინტეგრაცია (რუსული სცენარით) მინტზის (2004) მიერ ჩამოთვლილ თითქმის ყველა პოლიტიკურ დანაკარგს იწვევს. ლუკაშენკოს გადაწყვეტილება პერსონალისტურ ავტოკრატიის ში საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების კინეს (2005) მიერ წარმოდგენილი პრინციპების მიხედვით შეიძლება აიხსნას, რომელის თანახმად, ლიდერებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ როგორი სტატუსი და იმიჯი აქვს საკუთარ ქვეშევრდომებში (სამხედროები, რეგიონალური აქტორები, ადგილობრივი საზოგადოება). ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პირველ ეტაპზე, რაც ნიშვნას, რომ თუ რომელიმე საგარეო-პილიტიკური გადაწყვეტილება პოტენციურად საზიანოა პერსონალისტური ლიდერის სტატუსის, პოლიტიკური ძალაუფლების, რეჟიმისა და/ან იმიჯისთვის, იგი მაშინვე გამოირიცხება, მისი ეკონომიკური, სამხედრო ან სტრატეგიული სარგებლის განხილვის გარეშე.

დასკვნა

ლუკაშენკოს შემთხვევა კარგი მაგალითია საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პოლიპერვისტული თეორიის და ავტოკრატიულ რეჟიმებში გადაწყვეტილების მიღების ლიტერატურისთვის, რომელიც საკმაოდ მწირია და ჩვენი კვლევაც მხოლოდ მცირე წვლილს შეიტანს არსებული დეფიციტის შესავსებად. ლუკაშენკო კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ გავლენას ახდენს ავტოკრატიული მმართველობა საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და შედეგებზე. ლუკაშენკო კინეს (2005) მიერ მოყვანილ რამდენიმე მაგალითთან ავლენს მსგავსებას, თუმცა ამავდროულად თავისი უნიკალური ნიშნებიც აქვს. კინეს მოყვანილი აქვს სადამ ჰუსეინის (პერსონალისტური ავტოკრატია), პერვეზ მუშარაფის (სამხედრო ავტოკრატია), გორბაჩოვის (ერთ-

პარტიული ავტოკრატია) და სათქასივამის (2003) პაკისტანის მაგალითები, რომელთაც საერთო თვისება აერთიანებთ – იქ არსებული რეჟიმებისათვის საფრთხის მთავარ წყაროს წარმოადგენდნენ შიდა აქტორები, კერძოდ, ადგილობრივი საზოგადოება (სადამი), სამხედროები (მუშარაფი), მმართველი პარტია (გორბაჩივი) და ადგილობრივი საზოგადოება (პაკისტანი). ლუკაშენკოს შემთხვევაში კი, უაღრესად ცენტრალიზებულ გარემოში, ოპოზიციის აბსოლუტური არარსებობისა და ბელარუსის პოლიტიკურად ინერტული საზოგადოების ფონზე, არსებული რეჟიმისთვის საფრთხის მთავარი წყარო არის არა შიდა, არამედ გარე აქტორი.

2019 წლის დეკემბერში ბელარუსში გამართულ ანტიინტეგრაციულ საპროტესტო გამოსვლებზე მხოლოდ მცირე რაოდენობის ხალხმა მოიყარა თავი. ამას თუ დავამატებთ საპარლამენტო ოპოზიციის არარსებობას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთთან რუსული სცენარით ინტეგრაციის შემთხვევაში, ლუკაშენკოს რეჟიმის პოლიტიკური დანაკარგები არა არდგილობრივ (შიდა) საზოგადოებაში (როგორც სხვა პერსონალისტი ავტოკრატის – სადამ პუსეინის შემთხვევაში) ექნება, არამედ ინტეგრაციის შედეგებში – ზესახემნიფორებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებისგან, რადგან ლუკაშენკო და მისი პოლიტიკური ელიტა იძულებული იქნებიან დათმონ ძალაუფლების ნაწილი. შედეგად, ჩვენ გვაქვს საინტერესო და პარადოქსული ვითარება – ავტოკრატი ლიდერი, რომელიც ძალაუფლებაში მოვიდა და მეტნილად პროინტეგრაციული პოზიციით მოიპოვა პოპულარობა, ახლა სახელმწიფოს სუვერენიტეტის მთავარი გარანტი გახდა.

ბიბლიოგრაფია

Brule, David J. "The Poliheuristic Research Program: An Assessment and Suggestions for Further Progress." *International Studies Review* 10 (2008): 266-293

James, Patrick and Enyu Zhang. "Chinese Choices: A Poliheuristic Analysis of Foreign Policy Crises, 1950-1996." *Foreign Policy Analysis* 1, no. 1 (2005): 31-54

Kinne, Brandon J. "Decision Making in Autocratic Regimes: A Poliheuristic Perspective." *International Studies Perspectives* 6 (2005): 114-128

Mintz, Alex and Nehemia Geva. *Decisionmaking on War and Peace: The cognitive-rational Debate*. Boulder: Lynne Rienner Publishers, 1997

Mintz, Alex. "How Do Leaders Make Decisions? A Poliheuristic Perspective." *Journal of Conflict Resolution* 48, no. 1 (2004): 3-13

Mintz, Alex. "Applied Decision Analysis: Utilizing Poliheuristic Theory to Explain and Predict Foreign Policy and National Security Decisions." *International Studies Perspectives* 6, no. 1 (2005): 94-98

Sathasivam, Kanishkan. "" No Other Choice": Pakistan's Decision to Test the Bomb." *Integrating Cognitive and Rational Theories of Foreign Policy Decision Making* (A. Mintz ed.), 2003: 55-76

❀❀❀❀❀

1. “Alexander Lukashenko’s program,” Radio Liberty’s Belarus Service, September 6, 2010, www.svaboda.org/a/2149925.html
2. ❀❀❀❀❀
3. Yulia Verewkina, “Integrational tendencies in Belarus-Russian relations”, last modified 2010, www.cyberleninka.ru/article/n/integratsionnye-tendentsii-v-belorusko-rossiyskih-otnosheniyah/viewer
4. “B. Yeltsin”, FOM database, December 8, 1999, www.bd.fom.ru/report/cat/pres/eltzin_rating_eltsin/t907719
5. “About the results of the voting at the republican referendum,” Central Election Commission of Belarus, May 14, 1995, www.web.archive.org/web/20110720220048/www.rec.gov.by/refer/ref1995resdoc.html
6. “‘At front’. If fails, Belarus might merge into another state – Lukashenka,” Belsat, June 25, 2018, www.belsat.eu/en/news/at-front-if-fails-belarus-might-merge-into-another-state-lukashenka/
7. Alexander Lukashenko and Aleksey Venedikov, “Interview,” December 25, 2018, in Echo of Moscow, podcast, 00:04:30, www.youtube.com/watch?v=_fz82BzyO4c
8. “Belarus introduces environmental tax on oil transit through its territory,” Belsat, January 13, 2020, www.belsat.eu/en/news/belarus-introduces-environmental-tax-on-oil-transit-through-its-territory/
9. “Alexander Lukashenko: 98% of Belarusian will vote against the unification with Russia,” Novie Izvestia, March 1, 2019, www.newizv.ru/news/politics/01-03-2019/aleksandr-lukashenko-98-belorusov-progolosuyutprotiv-ob-edineniya-s-rossiey
10. Alexander Dombrowski, “Half of Belarusians support not allied, but partner relations with the Russia,” The Institute of Sociology of the National Academy of Sciences of Belarus, last modified December 4, 2019, www.socio.bas-net.by/polovina-belorusov-vystupaet-ne-za-soyuznicheskie-a-za-partnerskie-otnosheniya-srossiej/